

კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკი“-ს დირექტორთა
საბჭოს 2013 წლის 02 დეკემბრის #197 სხდომის ოქმით / ბოლო ცვლილებები განხორციელებულია
დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 06 იანვრის #302 სხდომის ოქმით (აღნიშნული პირობები წარმოადგენს „ელექტრონული არხების საშუალებით
მიღებული კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავასის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ უფლებამონაცვლეს)

შინაარსი

1.	ტერმინთა განმარტებები	3
2.	განცხადებები და გარანტიები	4
3.	კრედიტით სარგებლობის წესი.....	4
3.1	კრედიტის (ლიბერთი ექსპრესი, ლიბერთი ექსპრესი პლუსი, ოვერდრაფტი ან/და საგანგებო ავანსი) გაცემა /დამტკიცება.....	4
3.2	დამატებითი პირობა საგანგებო ავანსის დამტკიცებისას.....	4
3.3	კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელუბის დაფარვის წესი	4
3.4	ოვერდრაფტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელუბის დაფარვის წესი.....	5
3.6	მონიტორინგი და ინფორმაციის წარდგენის წესი.	5
3.7	დაფარვის პრიორიტეტი	5
4.	კრედიტის პროლონგირება / თანხის შეცვლა	5
4.1.	ლიბერთი ექსპრესის პროლონგირება.....	5
4.2.	ოვერდრაფტის პროლონგირება.....	6
4.3.	არსებული ლიბერთი ექსპრესის / ოვერდრაფტის თანხის შეცვლა.	6
5.	პროცენტის დარიცხვის და შეცვლის წესი	6
6.	პირობების შეცვლა	6
7.	უზრუნველყოფის საშუალებები	6
8.	მხარეთა პასუხისმგებლობა	6
9.	ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა.....	7
10.	მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა	7
11.	ბანკში პრეტენზიის წადგენის წესი	7
12.	კომუნიკაცია	7
13.	კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია	8
14.	დასკვნითი დებულებები.....	8
15.	#1 დანართი – მომსახურების ტარიფები ¹	10

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;

1.1.2. **ანგარიში - ბანკში** არსებული მსესხებლის საბანკო ანგარიში, მათ შორის საბარათე ანგარიში;

1.1.3. **ბანკომატი** - ბანკის თვითმომსახურების ელექტრონული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც მსესხებელს, შეუძლია ხელშეკრულებით განსაზღვრული კრედიტის გააქტიურება, ანგარიშიდან ნაღდი ფულის გამოტანა, თანხის გადარიცხვა, ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა ბანკის მიერ ამ არხისათვის დაშვებული ოპერაციების ჩატარება;

1.1.4. **განაცხადი - ბანკის მიერ** მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის, მათ შორის მომსახურების ობიექტების ან/და ელექტრონული არხების (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, USSD მენიუ და სხვა), გამოყენებით შექმნილი და მსესხებლისათვის მიწოდებული წერილობითი ან ციფრული ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება მსესხებელი ქმედებით (მაგ. ლილაკის დაჭერით, sms მიღებით/გაგზავნით, დოკუმენტის გაგზავნით, თანხის გადარიცხვით და ა.შ.) რაც ადასტურებს მის (მსესხებლის) ნებას და ითვლება მსესხებლის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების / ნების გამოხატვის თანხაში იურიდიული ძალის მქონედ. განაცხადი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.5. **განაცხადები და გარანტიები - სტანდარტული პირობების მე-2 მუხლში მოცემული მსესხებლის განცხადებები და გარანტიები;**

1.1.6. **გარანტი** - ხელშეკრულების დანართი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით), რომლითაც ბანკი განსაზღვრავს კრედიტის თანხის და კრედიტის თანხასთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდის მოცულობას, პერიოდულობას ან/და სხვა პირობებს;

1.1.7. **დანართი** - ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტები (მათ შორის და არამატრო ხელშეკრულების #1 დანართი - მომსახურების ტარიფები), რომელიც აზუსტებს ხელშეკრულების ბანკში ხელშეკრულებას ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.1.8. **ელექტრონული არხი - ბანკი** მიერ განსაზღვრული მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფები ან/და სხვადასხვა ელექტრონული არხები (მათ შორის და არამატრო ბანკინგები, მობილური ტელეფონი, USSD მენიუ, სწრაფი თვითმომსახურების აპარატი, ვებგვერდი ან/და სხვა ელექტრონული ხელსაწყო / პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საშუალებითაც მსესხებელს ეძლევა საშუალება მიიღოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურება (აიღოს კრედიტი, ოვერდრაფტი, საგანგებო ავანსი და სხვა), წარადგინოს განაცხადი, დაეთანხმოს ხელშეკრულების თასსარტს, ასევე აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან მიიღოს მის ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაცია ბანკში მიუხედავად;

1.1.9. **ოვერლიმიტი ან არასანქცირებული ნაშთი** - (ა) ანგარიშზე წარმოქმნილ სადებეტო ნაშთსა და ხელშეკრულებით დადგენილ ოვერდრაფტის საკრედიტო ლიმიტს შორის სხვაობა; (ბ) ოვერდრაფტის საკრედიტო ლიმიტის არარსებობის შემთხვევაში ანგარიშზე წარმოქმნილი სადებეტო ნაშთი; (გ) ოვერდრაფტის შეზღუდვისას (მათ შორის ბანკის მიერ ცალმხრივად), ანგარიშზე წარმოქმნილი სადებეტო ნაშთი, რომელიც მათ შორის მოიცავს ოვერდრაფტის შეზღუდვამდე ათვისებული ოვერდრაფტის საკრედიტო ლიმიტს ან მის ნაწილს;

1.1.10. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.11. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების დადების ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია / დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია / დოკუმენტაცია მხარის პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი / მმართველი / ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული დოკუმენტ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის / პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია / დოკუმენტაცია;

1.1.12. **კრედიტი** - მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საბანკო საკრედიტო პროდუქტებით: **ლიბერთი ექსპრესი, ლიბერთი ექსპრეს პლუსი, საგანგებო ავანსი ან ოვერდრაფტი;**

1.1.13. **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** - მომსახურების საკომისიო, გაცემის საკომისიო, ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო, ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო, პროლონგირების საკომისიო, დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტეხლო ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ხარჯი (მათ შორის და არამატრო სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა);

1.1.14. **კრედიტის დეფოლტი - კრედიტის** სტატუსი, რომელიც წარმოიშობა კრედიტის უწყვეტ ვადაგადაცილებაში ყოფნის განსაზღვრულ კალენდარულ დღეს. კრედიტის დეფოლტის დადგომისას ბანკი ახორციელებს დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტეხლოს დარიცხვას და წყვეტს კრედიტის თანხაზე სხვა ყველაწარმოების საკომისიოს, პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვას;

1.1.15. **კრედიტის მომსახურე ანგარიში - ბანკის** მიერ განსაზღვრული ანგარიში, რომელზეც განთავსებული ფულადი სახსრებით ხორციელდება ავტომატური კრედიტის თანხების ან/და კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდა;

1.1.16. **კრედიტის თანხა - ხელშეკრულების** საფუძველზე მსესხებლის მიერ კრედიტის სახით მიღებული თანხები;

1.1.17. **ლიბერთი ექსპრესი - ბანკის** მოკლევადიანი საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც მსესხებელს ეძლევა საშუალება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ისარგებლოს კრედიტის თანხის მოცულობით;

1.1.18. **ლიბერთი ექსპრეს პლუსი - ბანკის** გრძელვადიანი საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც მსესხებელს ეძლევა საშუალება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ისარგებლოს კრედიტის თანხით;

1.1.19. **მესამე პირ(ებ)ი** - ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;

1.1.20. **მობილური ტელეფონი** - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი;

1.1.21. **მომსახურების ობიექტ(ებ)ი** - ბანკის ფილიალი, სერვის ცენტრი, აგენტ ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფიზიკური ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ბანკში მატერიალური განაცხადის წარდგენა და ხელშეკრულების დადება;

1.1.22. **მსესხებელი - პირი**, რომელიც ბანკის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა საშუალებით (მათ შორის და არამატრო ბანკის ფიზიკური მომსახურების ობიექტების ან/და ელექტრონული არხების მეშვეობით) წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ეთანხმება წინამდებარე სტანდარტულ პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;

1.1.23. **მხარე / მხარეები - ბანკი ან/და მსესხებელი** კონტექსტის შესაბამისად;

1.1.24. **ოვერდრაფტი - ბანკის** საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მსესხებლის ანგარიშზე ხელმისაწვდომია თანხა - საკრედიტო ლიმიტი. აღნიშნული ლიმიტით მსესხებლის მიერ სარგებლობა შესაძლებელია მრავალჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ და თუ ბანკსა და მსესხებელს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ლიმიტი ავტომატურად დაიფარება მსესხებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას / შეტანისას;

1.1.25. **პირგასამტეხლო (ჯარიმა)** - ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება შესაბამის მხარეს წარმოეკვება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად. პირგასამტეხლოს მოცულობა განსაზღვრულია ხელშეკრულების #1 დანართით;

1.1.26. **პირი / პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული / არარეგისტრირებული წარმონაქმნი(ებ)ი;

1.1.27. **პროლონგირება ან პროლონგაცია - კრედიტის თანხის** გადაუხდელოად, მსესხებლის თხოვნით და ბანკის დისკრეციით, კრედიტის მოქმედების ვადის გაზრდა იმავე (თავდაპირველი) ვადით, რა დროსაც, თუ თავად ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კრედიტის სხვა პირობები რჩება უცვლელი;

1.1.28. **პროცენტი - ხელშეკრულების** საფუძველზე განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის მოცულობა, რომელიც იანგარიშება მსესხებლის მიერ ბანკის საკრედიტო რესურსის (ლიბერთი ექსპრესი, ლიბერთი ექსპრეს პლუსი, საგანგებო ავანსი, ოვერდრაფტი) მიხედვით თანხით სარგებლობის ფაქტური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით. თუ ბანკი ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას, პროცენტის დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისთვის გაანგარიშებული თანხით. პროცენტი განსაზღვრულია ხელშეკრულების #1 დანართით;

1.1.29. **საგანგებო ავანსი - ბანკის** საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მსესხებლის ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა - საკრედიტო ლიმიტი. აღნიშნული ლიმიტით მსესხებლის მიერ სარგებლობა შესაძლებელია მრავალჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ და თუ ბანკსა და მსესხებელს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ლიმიტი ავტომატურად დაიფარება მსესხებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას / შეტანისას;

1.1.30. **საკომისიო - ხელშეკრულების** საფუძველზე, კრედიტით სარგებლობისათვის ბანკის მიერ მსესხებლისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულების #1 დანართით;

კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1.1.31. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (ბანკის მიერ განსაზღვრული დადგენილი ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.32. **სტანდარტული პირობები** - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი **კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები**, რომელიც წარმოადგენს ერთიან **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე: www.libertybank.ge;

1.1.33. **ხელშეკრულება - მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **განაცხადის** (როგორც ელექტრონული, ასევე არაელექტრონული), **ხელშეკრულების თავსართის, სტანდარტული პირობების** ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხადის, **დანართის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო / დაიდება **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.34. **ხელშეკრულების თავსართი** - ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებების (მათ შორის **ბანკომატის, მობილური ტელეფონის, USSD მენიუს**, სწრაფი თვითმომსახურების აპარატის, ვებგვერდის და სხვა) გამოყენებით შექმნილი და **მსესხებლისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომლითაც **მსესხებელი** ეცნობა **კრედიტის** ძირითად პირობებს (პროცენტი, საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა ფინანსური ხარჯები, რომელიც მოთხოვნილია კანონმდებლობით) და ელექტრონული ფორმითვე განხორციელებული ქმედების (ლიზაჟზე დაქვრა, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, სმს კოდის მოთხოვნა, ვერიფიკაცია და სხვა) საფუძველზე ეთანხმება მას (თავსართს); აღნიშნული თანხმობა ითვლება **მსესხებლის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარ იურიდიული ძალის მქონედ; **ხელშეკრულების თავსართი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.35. **USSD მენიუ - მობილურ ტელეფონზე** არსებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც **მსესხებელი** უფლებამოსილია დააგენერიროს **განაცხადი** და ისარგებლოს **კრედიტით**;

1.2. წინამდებარე **ხელშეკრულების** ქვეშეშეკრულებაში **კრედიტის** მიმართ საავალდებულო გადასახდელის (**პროცენტები, საკომისიოები, პირგასამტეხლობის** ან/და სხვა გადასახდელი) არსებობა ან არ არსებობა დგინდება **ხელშეკრულების დანართი #1-ში** მოცემული ტარიფებით („მომსახურების ტარიფები“).

1.3. **ხელშეკრულებაში** მხოლოდ რიცხვში გამოყენებული ტერმინები ან/და სიტყვები უნდა იყოს ადეკვატური მრავლობით რიცხვში (და პირიქით), თუ თავად **ხელშეკრულების** შესაბამისი პირობის კონტექსტისა და სხვა რამ არ გამოიძინარეობს.

2. განაცხადები და გარანტიები

2.1. **მსესხებელი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებუნარიან და ქმედუნარიან **პირს**, რომელსაც **ხელშეკრულების** დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებათა და ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. მის მიერ **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის **მსესხებლის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შევილებების უფლებას;

2.1.3. **მსესხებელი** არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმართვაში, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.4. წარმოადგენს გადახდისუნარიან **პირს**, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარეგანი, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.5. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.6. **მსესხებელი** არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას;

2.1.7. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **მსესხებლის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **მსესხებლის** მიმდებარე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოიყენება ბოროტად **ბანკის** საბაზრო მალაყობა;

2.1.8. **მომსახურების ობიექტის** ან/და **ელექტრონული არხის** საშუალებით **მსესხებელი** სრულად გაეცნო და მისთვის (**მსესხებლისთვის**) მისაღებია **განაცხადში** მოცემული ინფორმაცია, **ხელშეკრულების თავსართი** და წინამდებარე **სტანდარტული პირობები**;

2.1.9. **მსესხებელი** სრულად გაეცნო და **მსესხებლისთვის** მისაღებია **ხელშეკრულების** პირობები, მათ შორის **ხელშეკრულების #1 დანართით** განსაზღვრული ტარიფები. **მსესხებელი** ადასტურებს, რომ აღნიშნული დანართში განსაზღვრული **პირგასამტეხლო** არ არის შეუსაბამოდ მაღალი **პირგასამტეხლო**;

2.1.10. **მსესხებელი ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ აიღებს რაიმე სახის სხვა დამატებითი ფინანსური ვალდებულებებს.

2.2. **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაწყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განაცხადებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულების** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებების დარღვევა, ხოლო **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერვე განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია / ინფორმაცია **მსესხებლის** ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

2.3. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განაცხადებისა და გარანტიების** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განაცხადებისა და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე (მათ შორის **კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავანსის** გაცემაზე) ცალმხრივი უარის სათქმელად ან/და **ხელშეკრულების** ცალმხრივად შესაწყვეტად.

3. კრედიტით სარგებლობის წესი

3.1. **კრედიტის (ლიბერთი ექსპრესი, ლიბერთი ექსპრესი პლუსი, ოვერდრაფტი ან/და საგანგებო ავანსი) გაცემა / დამტკიცება**

3.1.1. **კრედიტის** გაცემა **ბანკის** მიერ ხორციელდება შემდეგი პროცედურის დაცვით: (ა) **მსესხებელი** ირჩევს **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ ერთ-ერთ **მომსახურების ობიექტს** ან **ელექტრონულ არხს**, რომლითაც სურს **კრედიტის** მოთხოვნის წარდგენა; (ბ) **მომსახურების ობიექტი** ან **ელექტრონულ არხში მსესხებელი** ავსებს **განაცხადში** მოცემულ საავალდებულო ველებს; (დ) **განაცხადის** წარდგენამდე **ბანკი** **მსესხებლის** **ხელშეკრულების თავსართის** მეშვეობით, გაეცნობს **ხელშეკრულების** ძირითად პირობებს; (ე) თუ **მსესხებლისთვის** მისაღებია **ხელშეკრულების თავსართში** მოცემული ინფორმაცია ის შესაბამისი ქმედებით (მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერა, ლიზაჟზე დაქვრა, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, სმს კოდის მოთხოვნა, ვერიფიკაცია ან/და სხვა ქმედება) ეთანხმება მას; (ვ) **ხელშეკრულების თავსართზე** თანხმობის მიცემის შემდგომ **განაცხადი მსესხებლის** დასტურით ეგზავნება **ბანკს**; (ზ) **ბანკი** განიხილავს **კრედიტის განაცხადს** და თუ **მსესხებელი** აკმაყოფილებს **ბანკის** მოთხოვნებს, გასცემს **კრედიტს**.

3.1.2. თუ **განაცხადის** წარდგენა ხდება **მომსახურების ობიექტის** მეშვეობით **მსესხებელი განაცხადზე** აკეთებს მატერიალურ ხელმოწერას, ხოლო **ხელშეკრულების თავსართსა და სტანდარტულ პირობებს** ეთანხმება ელექტრონული ფორმით.

3.1.3. **განაცხადის** წარდგენა და **ხელშეკრულების თავსართზე** დათანხმება: (ა) ადასტურებს, რომ **მსესხებელი** გაეცნობილია და ეთანხმება **ხელშეკრულების თავსართში** მოცემულ ინფორმაცია და **სტანდარტულ პირობებს**, (ბ) სურს **ხელშეკრულების** დადება და (გ) მისთვის მისაღებია **კრედიტის თანხა, პროცენტი, მოქმედების ვადა, პირგასამტეხლოს, საკომისიოს** მოცულობები და სხვა პირობები;

3.1.4. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ხელშეკრულების** შესაბამისად **კრედიტის** გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **კრედიტის** გაცემის საკითხს და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს **კრედიტი**, ის მხოლოდ განსაზღვრავს **კრედიტის**, მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **კრედიტის** გაცემის საფუძველზე **ბანკსა და მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.1.5. **ბანკი განაცხადს, ხელშეკრულების თავსართს** და მასში მოცემულ პირობებს, წინამდებარე **სტანდარტულ პირობებთან** ერთად განიხილავს, როგორც ერთიან **ხელშეკრულებას** და **მსესხებლის** მიერ აღნიშნულ განაცხადზე/თავსართზე თანხმობის მიცემა და **კრედიტით** სარგებლობის დაწყება, ჩაითვლება **მსესხებლის** თანხმობად/ნებად გარიგების (საკრედიტო ხელშეკრულების) დადებაზე.

3.2. **დამატებითი პირობა საგანგებო ავანსის დამტკიცებისას**

3.2.1. **მსესხებლის ანგარიშზე საგანგებო ავანსის** რეგისტრაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **მსესხებლის** მიერ **საგანგებო ავანსის** გააქტიურებულ დასაწყისთან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღის ბოლომდე მოხდა **საგანგებო ავანსის** ფარგლებში **ანგარიშზე** ხელმისაწვდომი ნაშთიდან ნებისმიერი ოდენობის თანხით სარგებლობა.

3.2.2. თუ განხორციელდა **საგანგებო ავანსის** რეგისტრაცია, მაგრამ არ განხორციელდა **საგანგებო ავანსის** მთლიანი ლიმიტით სარგებლობა, აუთვისებელი თანხა აქტიური იქნება **საგანგებო ავანსის** გააქტიურებიდან საშუალოდ პერიოდის განმავლობაში (საშუალოდ პერიოდის ხანგრძლივობა განსაზღვრულია **ხელშეკრულების #1 დანართით**). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ **საგანგებო ავანსის** აუთვისებელი ნაშთი უქმდება.

3.3. **კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის დაფარვის წესი**

3.3.1. **მსესხებელი** ვალდებულია **ხელშეკრულებით** (მათ შორის **განაცხადით**) განსაზღვრულ ვადაში და პერიოდულობით დაფაროს **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელი**, **კრედიტის მომსახურე ანგარიშზე** საკმარისი თანხის განთავსების გზით.

3.3.2. იმ შემთხვევაში, თუ **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელის** გადახდის დღეს **მსესხებელი** არ განათავსებს **კრედიტის**

მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

3.3.2.1. განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

3.3.2.2. **ბანკში** არსებული **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად;

3.3.2.3. თუ გადასახდელი და **მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან**.

3.3.3. ნებისმიერი გადახდილი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელი თანხები გადახდილია **ხელშეკრულებით (გრაფიკით)**, ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებულ ვადებში. თუ **ხელშეკრულებით (გრაფიკით)**, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი გადახდის დღე წარმოადგენს არასაბანკო დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო **საბანკო დღეს**.

3.3.4. **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

3.4. ოვერდრაფტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის წესი

3.4.1. **ოვერდრაფტის** დამტკიცების **საკომისიო** გადაიხდება **ოვერდრაფტის** თანხიდან წინასწარ, **ოვერდრაფტის** გაცემისას;

3.4.2. **მსესხებელმა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოვერდრაფტის** თითოეულ ჯერზე სრულად ან ნაწილობრივ ათვისებიდან 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი დევალიანების, მათ შორის **ოვერდრაფტის** ძირითადი თანხის, **ოვერლიმიტის**, **პირგამამტელის**, **საკომისიოს**, დარიცხული **პროცენტის** სრულად დაფარვა ისე, რომ **ანგარიშის** ბალანსი, რომელზეც დაშვებულია **ოვერდრაფტი** იყოს უნულის ტოლი ან მეტი. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეაჩეროს **მსესხებლისათვის** **ოვერდრაფტის** მოქმედება;

3.4.3. **მსესხებელი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ოვერდრაფტი** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელები** **ბანკის** მიერ **ოვერდრაფტის** მოქმედების შეჩერებიდან მომდევნო **საბანკო დღეს**;

3.4.4. **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურება ხორციელდება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება დაექვემდებაროს **მსესხებლის** მხრიდან **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების **საკომისიოს** გადახდას;

3.4.5. **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების **საკომისიო** ექვემდებარება გადახდას **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურებისას;

3.4.6. **ოვერდრაფტის** მომსახურების **საკომისიო** გადაიხდება ყოველი კალენდარული თვის პირველ **საბანკო დღეს** **მსესხებლის ანგარიშიდან** **საკომისიოს** თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრის გზით, მათ შორის **ანგარიშის** **ოვერლიმიტი** გაცვანის ხარჯზე, თუ **ანგარიშზე** რიცხული ხელმისაწვდომი თანხა არ არის საკმარისი **საკომისიოს** გადასახდელად;

3.4.7. **ოვერდრაფტის** მომსახურების **საკომისიო** ერიცხება **ოვერდრაფტით** სარგებლობის ყოველ კალენდარულ თვეს დამოუკიდებლად მოცემულ თვეში **მსესხებლის** მიერ **ოვერდრაფტით** ფაქტიურად სარგებლობის დღეების;

3.4.8. **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ შემთხვევებში **თანხის გადახარჯვის/ოვერლიმიტის** წარმოშობის **საკომისიოს** თანხას დაერიცხება **ბანკის** მიერ განსაზღვრული **პროცენტი** და **ოვერლიმიტის** დაფარვა განხორციელდება **ხელშეკრულებით** **ოვერდრაფტისათვის** განსაზღვრული წესით.

3.4.9. **ოვერდრაფტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

3.4.10. იმ შემთხვევაში, თუ **მსესხებელი** არ დაფარავს დროულად და **ხელშეკრულებით** დადგენილი ოდენობით **ოვერდრაფტს** და **მასთან დაკავშირებულ გადასახდელებს**, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

3.4.10.1. განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

3.4.10.2. **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **ოვერდრაფტი** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად; ან/და

3.4.10.3. თუ გადასახდელი და **მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან**.

3.5. საგანგებო ავანსის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის წესი

3.5.1. **საგანგებო ავანსის** ერთჯერადი გააქტიურების **საკომისიო** გადაიხდება **მსესხებლის ანგარიშიდან** წინასწარ, **საგანგებო ავანსის** დარეგისტრირებისას;

3.5.2. **საგანგებო ავანსის** გააქტიურებიდან განსაზღვრული პერიოდის (პერიოდი განისაზღვრება კალენდარულ დღეებში და დგინდება ინდივიდუალურად ყოველი **მსესხებლისათვის**) განმავლობაში **მსესხებლის** მიერ **საგანგებო ავანსის** ათვისებულ თანხაზე მოქმედებს საშუალო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **მსესხებლის** მიერ ათვისებულ თანხას არ ერიცხება **პროცენტი**.

3.5.3. **საგანგებო ავანსის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

3.5.4. საშუალო პერიოდის გასვლის შემდეგ **საგანგებო ავანსის** ნებისმიერი ათვისებელი თანხა უქმდება, ხოლო **საგანგებო ავანსის** ათვისებული თანხის ფარგლებში **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებლის** მიერ ათვისებულ **საგანგებო ავანსის** თანხას დაარიცხოს **პროცენტი**.

3.5.5. **მსესხებელი** ვალდებულია დაფაროს **საგანგებო ავანსი** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელები** საშუალო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს მათე **საბანკო დღეს**.

3.5.6. იმ შემთხვევაში, თუ **მსესხებელი** არ დაფარავს დროულად **საგანგებო ავანსს** და **მასთან დაკავშირებულ გადასახდელებს**, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

3.5.6.1. განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

3.5.6.2. **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **საგანგებო ავანსი** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელები** თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად;

3.5.6.3. თუ გადასახდელი და **მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან**.

3.6. მონიტორინგი და ინფორმაციის წარდგენის წესი

3.6.1. **მსესხებელი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ პირობების (მათ შორის ვადა, ფორმა და ა.შ.) შესაბამისად სრულად წარუდგენოს **ბანკს** მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია;

3.6.2. **ბანკი** უფლებამოსილია უაქცეპტოდ (**მსესხებლის** თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს **მსესხებელი** გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს **ბანკის** სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი **მსესხებელთან** და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე მიიღოს **ბანკის** კუთვნილი თანხები ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასეთ შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს **ბანკის** წარმომადგენლის დაშვება უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების შესამოწმებლად ან/და **მსესხებლის** ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

3.7. დაფარვის პრიორიტეტი

3.7.1. **მსესხებელი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე:

3.7.1.1. **ბანკს**, საკუთარი არჩევანით, **მსესხებლისაგან** მიღებული ფულადი სახსრებიდან პირველ რიგში, სრულად ან ნაწილობრივ, დაფაროს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებები, მიუხედავად იმისა, რომ **მსესხებელს** **ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა); ან

3.7.1.2. **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების დაფარვა, თუ **მსესხებელს** **ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **მსესხებლის** მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მაშ შემდეგ რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **მსესხებლის** ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

4. კრედიტის პროლონგირება / თანხის შეცვლა

4.1. ლიბერთი ექსპრესის პროლონგირება

4.1.1. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ლიბერთი ექსპრესის** პროლონგირებაზე თანხმობის განცხადება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **მსესხებლის** თხოვნას და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **კრედიტის** პროლონგირება, ის მხოლოდ განსაზღვრავს **ლიბერთი ექსპრესის** პროლონგირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ლიბერთი ექსპრესის** პროლონგირების საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

4.1.2. თუ შესრულებულია **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა პირობა, **მსესხებლის** მიმართვის საფუძველზე და **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში (მათ შორის მატერიალური ფორმით გაფორმებული შეთანხმების ან ელექტრონული **განაცხადის** (გათვალისწინებით), შესაძლებელია განხორციელდეს **ლიბერტი ექსპრესის** პროლონგირება, რა დროსაც **ხელშეკრულების** პირობები რჩება უცვლელი.

4.1.3. **ლიბერტი ექსპრესის** პროლონგირება დასაშვებია იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი **კრედიტთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი**, მათ შორის **კრედიტის** გაცემის ერთჯერადი ადმინისტრაციული **საკომისიო**, **კრედიტის** მომსახურების **საკომისიო**, ვადაგადაცილების ერთჯერადი და დღიური პირგასამტეხლობები და **ბანკის** მხრიდან ადგილი ექნება თანხმობას **ლიბერტი ექსპრესის** მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე;

4.1.4. **ლიბერტი ექსპრესის** პროლონგირებების დასაშვები რაოდენობის (განსაზღვრულია **ხელშეკრულების #1 დანართით**) ამოწურვის შემდეგ **მსესხებელი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ლიბერტი ექსპრესის** და მასთან დაკავშირებული გადასახდელები;

4.1.5. **ლიბერტი ექსპრესის** პროლონგირება ექვემდებარება **მსესხებლის** მხრიდან **ლიბერტი ექსპრესის** პროლონგირების **საკომისიოს** გადახდას;

4.1.6. **ლიბერტი ექსპრესის** პროლონგირება ხდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული თავდაპირველი ან სხვა ვადით, რომელიც განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ.

4.2. ოვერდრაფტის პროლონგირება

4.2.1. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ოვერდრაფტის** პროლონგირებაზე თანხმობის განცხადება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **მსესხებლის** თხოვნას და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **ოვერდრაფტის** პროლონგირება, ის მხოლოდ განსაზღვრავს **ოვერდრაფტის** პროლონგირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ოვერდრაფტის** პროლონგირების საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

4.2.2. **ოვერდრაფტის** პროლონგირება შესაძლებელია განხორციელდეს ავტომატურად, თუ **მსესხებელი** **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წინასწარ არ აცნობებს **ბანკს** **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ.

4.3. არსებული ლიბერტი ექსპრესის / ოვერდრაფტის თანხის შეცვლა

4.3.1. **ლიბერტი ექსპრესის / ოვერდრაფტის** თანხის შეცვლა ითვალისწინებს ახალი, უფრო დიდი ან უფრო მცირე მოცულობის **ლიბერტი ექსპრესის / ოვერდრაფტის** გაცემას / გააქტიურებას იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი არსებული **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები**;

4.3.2. **ლიბერტი ექსპრესის / ოვერდრაფტის** თანხის შეცვლის დროს, ითვლება, რომ **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის ფორმდება ახალი **ხელშეკრულება** (მათ შორის გარიგება იდება ელექტრონული ფორმით);

4.3.3. **ლიბერტი ექსპრესის / ოვერდრაფტის** თანხის შეცვლის დროს, **მსესხებელს** შესაძლებელია დაეცისროს **ლიბერტი ექსპრესის / ოვერდრაფტის** თანხის გადახდის ერთჯერადი ადმინისტრაციული **საკომისიო** **ხელშეკრულების #1 დანართით** განსაზღვრული ოდენობით;

4.3.4. **ბანკს** აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ არ დაეთანხმოს **მსესხებლის** **ლიბერტი ექსპრესის / ოვერდრაფტის** თანხის გაზრდას, - ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** არ არის ვალდებული განუმარტოს **მსესხებელს** თავისი გადაწყვეტილების მიზეზ(ებ)ი.

4.4. **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებლისაგან** მიღებული **განაცხადის** საფუძველზე, განახორციელოს **მხარეთა** შორის მატერიალური ფორმით ხელმოწერილი ნებისმიერი **ლიბერტი ექსპრესის** ან **ოვერდრაფტის** **ხელშეკრულების** პროლონგირება ან/და **ლიბერტი ექსპრესის** თანხის შეცვლა და პირიქით (vice versa). ასეთ შემთხვევაში, წინამდებარე **სტანდარტული პირობები** და **განაცხადი** ჩაითვლება **მხარეთა** შორის გაფორმებული მატერიალური **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილად და იმოქმედებს მასთან ერთად, ხოლო მატერიალური **ხელშეკრულების** მუხლებს, პუნქტებს, ქვეპუნქტებსა და წინამდებარე **სტანდარტული პირობების** მუხლებს, პუნქტებს ან/და ქვეპუნქტებს შორის წინამდებარეობისას უპირატესობა მიენიჭება **სტანდარტულ პირობებს**.

5. პროცენტის დარიცხვის და შეცვლის წესი

5.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **მსესხებლისათვის** წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**მსესხებლის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს **ხელშეკრულებით** შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი - ახალი **პროცენტი** დაირიცხება ცვლილებ(ებ)ის ამოქმედების დღიდან.

5.2. თუ **მსესხებელი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ **პროცენტს**, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს** და სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება **სტანდარტული პირობებით** დადგენილი წესის შესაბამისად, წინამდებარე შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **მსესხებელი** შეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

5.3. **პროცენტის მსესხებლის** სასარგებლოდ შეცვლა ან/და **ბანკის** ინიციატივით შემცირებული **პროცენტის** გაზრდა თავდაპირველად არსებული

განაკვეთის მოცულობის ფარგლებში არ საჭიროებს **მსესხებლის** დამატებით აქვეყნებს ან/და **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნას.

6. პირობების შეცვლა

6.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინასწარი შეტყობინების გაგზავნილი გარეშე, ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს, შეცვალოს ან/და დაამატოს **ხელშეკრულებით** შეთანხმებული ნებისმიერი პირობა, გადასახდელი, თუ აღნიშნული ცვლილება/დამატება არ არის დაკავშირებული პროცენტის ცვლილებასთან.

6.2. ნებისმიერი გადასახდელის **მსესხებლის** სასარგებლოდ შეცვლა, ახალი პირობის დამატება, რომელიც არ აუარესებს **მსესხებლის** მდგომარეობას ან/და **ბანკის** ინიციატივით შემცირებული გადასახდელის გაზრდა თავდაპირველად არსებული მოცულობის ფარგლებში არ საჭიროებს **მსესხებლის** დამატებით/წინასწარ თანხმობას ან/და **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნას.

6.3. წინამდებარე პირობების ცვლილების შემთხვევაში **მსესხებელს** ინფორმაცია მიეწოდება სტანდარტული პირობების მე-12 მუხლის (კომუნიკაცია) შესაბამისად.

7. უზრუნველყოფის საშუალებები

7.1. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოთხოვოს **მსესხებელს** **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებ(ებ)ის უზრუნველყოფა. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია:

7.1.1. **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში, **ბანკს** დასატვირთად გადასცეს ქონება ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის, რომელიმე სხვა **ბანკისათვის** მისაღები საშუალება;

7.1.2. უზრუნველყოფის საშუალებებზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში და პირობით, გაფორმოს შესაბამისი უზრუნველყოფის **ხელშეკრულებები**.

7.2. თუ **ხელშეკრულებით** ან/და მის საფუძველზე გაფორმებული **უზრუნველყოფის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მსესხებლის** რომელიმე ვალდებულება თავისი შინაარსით, საჭიროებს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეესტრში რეგისტრაციას, **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას **ხელშეკრულების** ან/და შესაბამის **უზრუნველყოფის ხელშეკრულების** ხელმოწერის / დადების თარიღთან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფის აღნიშნული ვალდებულებ(ებ)ის რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში. ამასთან, **მსესხებლის** წინამდებარე ვალდებულება არ გამოიცხადებს, ზემოაღნიშნულ (15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე) ვადაში **ბანკის** უფლებას ან ამ ვადის გასვლის შემდეგ **მსესხებლის** და **ბანკის** უფლებებს ერთობლივად ან ცალ-ცალკე უზრუნველყოფის **მსესხებლის** ზემოხსენებული რომელიმე ვალდებულების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში.

7.3. **მსესხებლის** მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია:

7.3.1. მოითხოვოს **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელის** ვადადელი დაფარვა; ან/და

7.3.2. უარი განაცხადოს **კრედიტის** დაშვებაზე/გაცემაზე და შეწყვიტოს/გააუქმოს **ხელშეკრულება**.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის გადაუხადოს **ბანკს**:

8.1.1. ერთჯერადი **პირგასამტეხლო ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის, მათ შორის ვადაგადაცილებაში გასვლის ყოველ ფაქტზე;

8.1.2. ყოველდღიური **პირგასამტეხლო** თითოეული დარღვეული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) **ხელშეკრულების #1 დანართით** განსაზღვრული ოდენობით.

8.2. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

8.3. მიუხედავად **სტანდარტული პირობების** 7.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

8.3.1. განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება;

8.3.2. **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის / ოვერლიმიტის** თანხა, **პროცენტის**, **საკომისიო**, **პირგასამტეხლო**, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

8.3.3. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის

კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშშიდან**;

8.3.4. **ბანკის** წინაშე არსებული **მსესხებლის** ვალდებულებები გაქვითოს **მსესხებლის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში;

8.3.5. **ოვერმიტიტის** ხარჯზე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **საკომისიო**, **პირგასამტებლო**, **ზიანის / ზარალის ანაზღაურების** თანხები და სხვა) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.

8.4. **ზიანის / ზარალის ანაზღაურება**, მათ შორის **საკომისიოს** ან/და **პირგასამტებლოს** გადახდა არ ათავისუფლებს **მსესხებელს ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (მათ შორის **კრედიტის** დაფარვისაგან), ამასთან **პირგასამტებლოს** დარიცხვა გაგრძელდება **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომაც, **მსესხებლის** მიერ არსებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახელმწიფო, ადმინისტრაციული ან/და სხვა უფლებამოსილი **პირების** მიერ **ანგარიშებზე** დაწესებულ შეზღუდვებზე (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ინკასო, ყადაღა და სხვა) რის შედეგადაც **მსესხებელი** ვერ უზრუნველყოფს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებას. ამასთან, **მსესხებელი** ადასტურებს, რომ აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენს **ხელშეკრულებით** ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული **ბანკის** უფლებების შეზღუდვის ან/და **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს.

9. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

9.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის განაცხადის** საფუძველზე შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის და **ბანკის** მიერ აღნიშნული **განაცხადის** ნებისმიერ ფორმით დათანხმების/წარმოებაში მიღების მომენტიდან და მოქმედებს **განაცხადში** მითითებული ვადით. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის კრედიტის** სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა წარმოადგენს **მსესხებლის განაცხადზე ბანკის** თანხმობის დადასტურებას.

9.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

9.2.1. **ბანკის** მიერ, თუ **მსესხებელი** სრულად და ჯეროვნად არ შესრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებებს, განაცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

9.2.2. **ბანკის** მიერ, იმ შემთხვევაში, თუ:
9.2.2.1. ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო **მსესხებელს** ჩამოართმევს ქონებას ან/და სხვა აქტივებს ან/და მის მნიშვნელოვან ნაწილს ან/და მოახდენს მის ნაციონალიზაციას ან/და ექსპროპრიაციას;

9.2.2.2. **მსესხებლის** ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიმართ სახელმწიფო ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან/და გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომელიც არსებითად გართულებს ან/და შეუძლებელს გახდის **მსესხებლის** ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიერ საკუთარი ქონების განკარგვას;

9.2.2.3. თუ სასამართლოს, არბიტრაჟის, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ან სახელმწიფოს ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და სხვა ფორმით მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე ეუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე;

9.2.2.4. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდება ან/და **ბანკი** დაადგენს, რომ არსებული საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის **მსესხებლის** გადახდისუნარიანობას;

9.2.2.5. **ბანკი** დაადგენს, რომ **მსესხებლის** ფულადი სახსრების ბრუნვის მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მისი ფინანსური პროფილის სიჯანსაღეს, **მსესხებლის** საქმიანობას და ექვექემ აყენებს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებას;

9.2.2.6. **მსესხებელი** შეწყვეტს ან ნებისმიერი სხვა მიზეზით **მსესხებელს** შეუწყდება თავის დამსაქმებელთან არსებული შრომითი ურთიერთობა, რომელიც გახდა წინამდებარე **ხელშეკრულების** გაფორმების საფუძველი.

9.2.3. **კრედიტის** მოქმედების ვადის ამოწურვისას, იმ შემთხვევაში თუ **მსესხებელს ბანკის** წინაშე არ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება მათ შორის **კრედიტის** ან/და **მასთან დაკავშირებული გადასახდლების** დავალიანება;

9.2.4. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

9.2.5. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3. **ხელშეკრულების** სრულად შეწყვეტის შემთხვევაში:

9.3.1. **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობებით, სრულად დაფაროს **ბანკის** წინაშე არსებული ნებისმიერი დავალიანება, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდლების** თანხები;

9.3.2. **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული**

გადასახდლების თანხები) დაფაროს **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი მისი უზრუნველყოფილი **კრედიტის** თანხ(ებ)იდან. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც **ბანკი** მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და **ხელშეკრულების** სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეული იქნება, როგორც ცვლილება შესაბამის უზრუნველყოფილი **კრედიტის** ხელშეკრულება(ებ)ში და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **ხელშეკრულების** საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდლების** თანხები) სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი **კრედიტის** მეშვეობით;

9.3.3. **ბანკი** უფლებამოსილია დაიწყოს იძულებითი აღსრულების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე. თუ უზრუნველყოფის საგანი (ასეთის არსებობისას) ან მისი რეალიზების შედეგად მისაღები თანხა არ არის საკმარისი **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დაფარვისათვის (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდლების** თანხების გადახდისათვის), **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს **მსესხებლისაგან** ვალდებულების შესრულება მისი (**მსესხებლის**) ნებისმიერი სხვა ქონებით.

9.3.4. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგან(ებ)ის რეალიზაციიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დაფარვისათვის (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდლების** თანხების გადახდისათვის), **მსესხებელს** დაეკისრება პასუხისმგებლობა დარჩენილი დავალიანების ნაშთზე. იგივე პირობა ვრცელდება იმ ხარჯებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას **ბანკის** მიერ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციის პროცესში;

9.3.5. **ბანკი** თავისუფლდება **მსესხებლის** წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან.

9.4. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მსესხებელს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობით შესრულების მომენტიდან.

9.5. თუ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

10.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება **ხელშეკრულების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

10.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

11. ბანკში პრეტენზიის წადგენის წესი

11.1. **მსესხებელი** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: pretenzia@libertybank.ge **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

11.2. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.

11.3. **მსესხებელს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებგვერდის (www.libertybank.ge) საშუალებით.

12. კომუნიკაცია

12.1. **ბანკის** მიერ **მსესხებელთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **მსესხებლის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

12.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

12.2.1. **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული

კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

12.2.2. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მსესხებლისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **მსესხებლის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

12.2.3. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მსესხებლის** ელექტრონული ფოსტის სერვერთან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

12.2.4. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** ფიქური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.

12.3. **თუ მსესხებელი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **მსესხებელს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედმიზეძვით, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

12.4. **მხარეთა შორის** კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებელთან** კომუნიკაცია განახორციელოს **მსესხებლისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

12.5. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მსესხებელთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **მსესხებლისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **მსესხებლის** ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების **მსესხებლისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შესხენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ მიზნებს.

12.6. **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებელთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში მსესხებლის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **მსესხებლის** შესახებ დაფიქრებული, ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქრებული **მსესხებლის** საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოიყენებული იქნას, **ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

12.7. **მსესხებელი** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **მსესხებელს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **მსესხებელმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

13. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

13.1. **ინფორმაციის დამუშავება.** **მსესხებლისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის შედეგად **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მსესხებლის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაციის** (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება. მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ შორის შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

13.2. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (ვებგვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) **მსესხებლის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **მსესხებლის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **მსესხებლის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სისზომის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **მსესხებლის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **მსესხებლის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

13.3. **ინფორმაციის გადაცემა/გამოთხოვა.** **მსესხებელი ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **მსესხებლის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

13.3.1. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **მსესხებლის** პერსონალური მონაცემები.

13.3.2. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესინერებს) გადასცეს ან/და მესამე **მსესხებლისაგან** მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **მსესხებლის** პერსონალური მონაცემები.

13.3.3. **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია ბანკის** შეიკომბილ, ავილირებულ ან სხვა ნებისმიერ **მესამე პირებს** მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შემოთავაზების მიზნით.

13.3.4. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან/და სხვა მსგავსი შექმნილობის მქონე სუბიექტთან (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740, შემდგომში - **კრედიტინფო**), შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში **კრედიტინფოს** მიაწოდოს ინფორმაცია **მსესხებლის** შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **მსესხებლის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ **პროცენტს**, მოქმედების ვადას, **მსესხებლის** მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

13.3.5. მისცეს თანხმობა **კრედიტინფოს**, რომ **ბანკის** მიერ **კრედიტინფოსთვის** მიწოდებული **მსესხებლის** მონაცემები **კრედიტინფომ** გადასცეს **მესამე პირებს**, იმ პირობით, რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **მსესხებლის** მონაცემების მიხედვით იმ **პირებისთვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან **კრედიტინფოს** აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება **კრედიტინფოსთან**;

13.3.6. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს **კრედიტინფოს** მონაცემთა ბაზაში არსებული **მსესხებლის** მონაცემები.

13.4. **პირდაპირი მარკეტინგა.** **მსესხებელი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკში** დაფიქსირებულ **მსესხებლის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელებდეს მოკლექტესტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნას, მანამ სანამ **ბანკი მსესხებლისაგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **მსესხებელი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **მსესხებელს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (**ბანკთან** ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის **ბანკომატი**, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

13.5. **საკუთარი უფლებები.** **მსესხებელი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებგვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებში და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **მსესხებლის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **მსესხებლის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

13.6. **მონაცემების განახლება და შენახვის ვადა.** **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**. ამასთან, იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **მსესხებლის** მიერ **ბანკს** მიეწოდება **ელექტრონული არხების** (ვებგვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **მსესხებლის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

13.7. **მსესხებლის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის **მსესხებელს** მის შესახებ **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე **ბანკს** ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.

13.8. თუ **მსესხებელი** თვლის, რომ **მსესხებლის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

14. დასკვნითი დებულებები

14.1. **მსესხებელი** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის წვდომის კოდების) კონფიდენციალურობა. **მსესხებელი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** **მობილური ტელეფონის** ან/და მისი (**მობილური ტელეფონის**) ნომრის დაკარგვის, **მსესხებლის** მიერ ტელეფონის ნომრის მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, სხვისთვის გადაცემის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

14.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მსესხებლის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული **მობილური ტელეფონის** ნომრის შეცვლის, გასხვისების, **მობილური ტელეფონის** ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

14.3. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები (მათ შორის და არამარტო **ხელშეკრულების #1 დანართით** განსაზღვრული ტარიფები, **კრედიტის**, **საგანგებო ავანსის** ან/და **ოვერდრაფტის** თანხა და სხვა) იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და **კანონმდებლობასთან**.

14.4. **მსესხებლის** მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია **ხელშეკრულებით** დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი არ ემთხვევა **საბანკო დღეს**, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა**.

14.5. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

14.6. **მსესხებელი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებ **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

14.7. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლელებზე.

14.8. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

14.9. **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

14.10. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

14.11. **გრაფიკი** დგება ელექტრონული ფორმით, რომელზეც წვდომის უფლება ახვევ გადაეცემა **მსესხებელს**. რამდენიმე **გრაფიკის** არსებობისას უპირატესობა მიენიჭება უფრო ახალი თარიღის მქონე **გრაფიკის** პირობებს, ხოლო ერთი თარიღის მქონე **გრაფიკებს** შორის ან/და **გრაფიკის** ტექსტსა და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **ბანკში** დაცულ **გრაფიკის** ელექტრონულ ეგზემპლარის ან/და **ბანკში** არსებული **გრაფიკის** პროგრამული ჩანაწერის პირობებს.

14.12. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **სტანდარტული პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე: www.libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **სტანდარტულ პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **სტანდარტულ პირობებთან** მიმართებაში.

**კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
#1 დანართი – მომსახურების ტარიფები¹**

1. სწრაფი სამომხმარებლო კრედიტი „ლიბერთი ექსპრესი“	
1.1. ლიბერთი ექსპრესი 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მოქმედების ვადით²:	
კრედიტის თანხა (მირი) და ვალუტა:	<ul style="list-style-type: none"> • ვებგვერდი oneloan.ge-დან გააქტიურების შემთხვევაში: 300, 400, 500, 600 ლარი • სხვა არხებით გააქტიურების შემთხვევაში: 100, 150, 200, 250, 300, 400, 500, 600 ლარი
კრედიტის მოქმედების ვადა:	30 (ოცდაათი) კალენდარული დღე
კრედიტის გაცემის ერთჯერადი ადმინისტრაციული საკომისიო:	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტზე – 15.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტზე – 22.50 ლარი • 200 ლარიან კრედიტზე – 25.00 ლარი • 250 ლარიან კრედიტზე – 30.00 ლარი • 300 ლარიან კრედიტზე – 36.00 ლარი • 400 ლარიან კრედიტზე – 48.00 ლარი • 500 ლარიან კრედიტზე – 60.00 ლარი • 600 ლარიან კრედიტზე – 72.00 ლარი
კრედიტის პროლონგირების საკომისიო:	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტზე – 15.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტზე – 22.50 ლარი • 200 ლარიან კრედიტზე – 25.00 ლარი • 250 ლარიან კრედიტზე – 25.00 ლარი • 300 ლარიან კრედიტზე – 30.00 ლარი • 400 ლარიან კრედიტზე – 40.00 ლარი • 500 ლარიან კრედიტზე – 50.00 ლარი • 600 ლარიან კრედიტზე – 60.00 ლარი
კრედიტის პროლონგირების დასაშვები რაოდენობა:	შეუზღუდავი, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული
კრედიტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო:	<ul style="list-style-type: none"> • პირველივე ვადაგადაცილების შემთხვევაში - ნარჩენი კრედიტის თანხის 10%; • თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას ადგილი აქვს: <ul style="list-style-type: none"> - ზედიზედ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში - ნარჩენი კრედიტის თანხის დამატებით 20% - ზედიზედ 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში - ნარჩენი კრედიტის თანხის დამატებით 20%
კრედიტის თანხის გადახედვის ერთჯერადი ადმინისტრაციული საკომისიო:	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტის თანხის გაზრდის შემთხვევაში – 15.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტის თანხის გაზრდის შემთხვევაში – 22.50 ლარი • 200 ლარიან კრედიტის თანხის გაზრდის შემთხვევაში – 25.00 ლარი • 250 ლარიან კრედიტის თანხის გაზრდის შემთხვევაში – 30.00 ლარი • 300 ლარიან კრედიტის თანხის გაზრდის შემთხვევაში – 36.00 ლარი • 400, 500 და 600 ლარიან კრედიტზე თანხის გაზრდის ოფიციალურ ვრცელდება
კრედიტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო:	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტზე – 1.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტზე – 1.50 ლარი • 200 ლარიან კრედიტზე – 2.00 ლარი • 250 ლარიან კრედიტზე – 2.50 ლარი • 300 ლარიან კრედიტზე – 2.50 ლარი • 400 ლარიან კრედიტზე - 3.00 ლარი • 500 ლარიან კრედიტზე - 4.00 ლარი • 600 ლარიან კრედიტზე - 6.00 ლარი
კრედიტის დეფოლტში გასვლის ვადა:	კრედიტის უწყვეტად ვადაგადაცილებაში ყოფნის პერიოდის მე-60 (სამოცი) დღე
კრედიტის დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტეხლო:	100 ლარი
კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	<ul style="list-style-type: none"> • მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ვადამდე სრულად დაფაროს კრედიტი და მასთან დაკავშირებული გადასახდებლები. კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისათვის არ არის განსაზღვრული საკომისიო/პირგასამტეხლო; • კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისას თუ მსესხებელს კრედიტის თანხის გარდა გააჩნია ბანკის წინაშე შეუსრულებელი სხვა ფულადი ვალდებულებები (მაგ. მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა), ვადაზე ადრე დაფარვა განხორციელდება მას შემდეგ რაც მსესხებელი სრულად დაფარავს პირგასამტეხლოს ან/და მომსახურების საკომისიოს (მათ შორის დარიცხული ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად) თანხებს.
1.2. ლიბერთი ექსპრესი 12 (თორმეტი) კალენდარული თვის მოქმედების ვადით³:	
კრედიტის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო:	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტზე – 15.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტზე – 22.50 ლარი • 200 ლარიან კრედიტზე – 25.00 ლარი • 250 ლარიან კრედიტზე – 30.00 ლარი • 300 ლარიან კრედიტზე – 36.00 ლარი • 400 ლარიან კრედიტზე – 48.00 ლარი • 500 ლარიან კრედიტზე – 60.00 ლარი • 600 ლარიან კრედიტზე – 72.00 ლარი <p><i>* გადახდილი უნდა იქნას კრედიტის გაცემის (ბოლო პროლონგირების/თანხის გაზრდის) თარიღიდან ყოველ 30-ე (ოცდამეათე) კალენდარულ დღეს</i></p>
კრედიტის მოქმედების ვადა:	განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: კრედიტის გაცემიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვე, ხოლო თუ ადგილი ჰქონდა კრედიტის თანხის გაზრდას კრედიტის თანხის ბოლო გაზრდიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვე

კრედიტის დაფარვის პირობა:	კრედიტის თანხის სრულად დაფარვა შესაძლებელია, როგორც ვადადმდე ასევე კრედიტის მოქმედების ვადის ბოლოს
კრედიტის პროლონგირება ან თანხის ზრდა:	კრედიტის პროლონგირება ან თანხის ზრდა დაუშვებელია
კრედიტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო:	<ul style="list-style-type: none"> პირველივე ვადაგადაცილების შემთხვევაში - ნარჩენი კრედიტის თანხის 10%; თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას ადგილი აქვს: <ul style="list-style-type: none"> - ზედიზედ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში - ნარჩენი კრედიტის თანხის დამატებით 20% - ზედიზედ 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში - ნარჩენი კრედიტის თანხის დამატებით 20%
კრედიტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო:	<ul style="list-style-type: none"> 100 ლარიან კრედიტზე - 1.00 ლარი 150 ლარიან კრედიტზე - 1.50 ლარი 200 ლარიან კრედიტზე - 2.00 ლარი 250 ლარიან კრედიტზე - 2.50 ლარი 300 ლარიან კრედიტზე - 2.50 ლარი 400 ლარიან კრედიტზე - 3.00 ლარი 500 ლარიან კრედიტზე - 4.00 ლარი 600 ლარიან კრედიტზე - 6.00 ლარი
კრედიტის დეფოლტში გასვლის ვადა:	კრედიტის უწყვეტად ვადაგადაცილებაში ყოფნის პერიოდის მე-60 (სამოცი) დღე
კრედიტის დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტეხლო:	100 ლარი
კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	<ul style="list-style-type: none"> მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ვადადმდე სრულად დაფაროს კრედიტი და მასთან დაკავშირებული გადასახდებელი კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისათვის არ არის განსაზღვრული საკომისიო/პირგასამტეხლო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისას თუ მსესხებელს კრედიტის თანხის გარდა გააჩნია ბანკის წინაშე შეუსრულებელი სხვა ფულადი ვალდებულებები (მაგ. მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა), ვადაზე ადრე დაფარვა განხორციელდება მას შემდეგ რაც მსესხებელი სრულად დაფარავს პირგასამტეხლოს ან/და მომსახურების საკომისიოს (მათ შორის დარიცხული ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად) თანხებს.
2. სწრაფი სამომხმარებლო კრედიტი „ლიბერტი ექსპრესი პლიუსი“ (LX+)	
კრედიტის თანხა და ვალუტა	650 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით (50-ის ჯერადი ოდენობა)
კრედიტის მოქმედების ვადა	3-დან 24 კალენდარულ თვემდე
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	<p>დამოკიდებული კრედიტის მოქმედების ვადაზე და განისაზღვრება შემდეგი სახით:</p> <ul style="list-style-type: none"> 3 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 226%; 4 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 189%; 5 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 165%; 6 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 155%; 7 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 147%; 8 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 141%; 9 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 136%; 10 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 132%; 11 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 128%; 12 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 125%; 13 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 122%; 14 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 119%; 15 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 117%; 16 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 115%; 17 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 113%; 18 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 111%; 19 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 110%; 20 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 108%; 21 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 107%; 22 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 105%; 23 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 104%; 24 თვიანი კრედიტის შემთხვევაში - წლიური 103%;
კრედიტის დაფარვის პირობა	ანუიტეტური, განისაზღვრება გრაფიკის შესაბამისად
კრედიტის გაცემის ერთჯერადი ადმინისტრაციული საკომისიო	არ არის განსაზღვრული - 0 ლარი
კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო*	კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდებლის ნარჩენი თანხის 2%
კრედიტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო	20 ლარი
კრედიტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო	ვადაგადაცილებული კრედიტის თანხის 1%
3. ოვერდრაფტი	
ოვერდრაფტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	ინდივიდუალურად
ოვერდრაფტის გააქტიურების/დამტკიცების საკომისიო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
მომსახურების ყოველთვიური ადმინისტრაციული საკომისიო	1.00 ლარი თვეში*
ოვერდრაფტის ხელახალი გააქტიურების საკომისიო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
ოვერდრაფტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
ოვერდრაფტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო	ოვერდრაფტის თანხის ვადაგადაცილებული ნაწილის 0.50% ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე
4. საგანგებო ავანსი	
საგანგებო ავანსის ვალუტა	ლარი
საგანგებო ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო	<ul style="list-style-type: none"> საგანგებო ავანსის თანხის არაუმეტეს 10.00%-ისა დამრგვალებული მეტობით უახლოეს მთელ რიცხვამდე, მინიმუმ 10.00 ლარი*

	<ul style="list-style-type: none"> პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით, ბანკი იტოვებს უფლებას მსესხებლის თანხმობის საფუძველზე შესთავაზოს მას (მსესხებელს) საგანგებო ავანსით სარგებლობა გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს გადახდის გარეშე
საშელავათო პერიოდი	საგანგებო ავანსის გააქტიურებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა ⁷
საპროცენტო განაკვეთი	წლიური 32.00% საგანგებო ავანსის მოქმედების თითოეულ დღეზე (დარიცხვა იწყება საშელავათო პერიოდის გასვლისთანავე)

¹ წინამდებარე დანართში მოცემული ტარიფები და პირობები ოფციურია და მისი გამოყენება დამოკიდებულია ბანკის ნებაზე. კონკრეტული კრედიტით სარგებლობისას ამა თუ იმ პირობის არსებობა ან არ არსებობა დგინდება განაცხადით, თუ თავად წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

² 2017 წლის 16 იანვრამდე გაცემული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მქონე (როგორც პროლონგირებული, ასევე თანხით გაზრდილი) ლიბერთი ექსპრესების მოქმედების ვადა, იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი არ განახორციელებს კრედიტის სრულად დაფარვას, მიუხედავად განაცხადში მითითებული ვადიანობისა, შეადგენს 12 (თორმეტი) კალენდარულ თვეს (ვადის ათვლის პრინციპი განსაზღვრულია წინამდებარე დანართის 1.2. პუნქტით) და აღნიშნულ კრედიტებზე ავტომატურად ვრცელდება წინამდებარე დანართის 1.2. პუნქტით განსაზღვრული პირობები (ტარიფები).

³ არ გაიცემა 2017 წლის 15 იანვრიდან;

⁴ სწრაფი სამომხმარებლო კრედიტის „ლიბერთი ექსპრესის“ და „ლიბერთი ექსპრესი პლუსის“ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია სრულად დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ვალდებულება (კრედიტი და მასთან დაკავშირებული გადასახდელები). კრედიტის ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა დაუშვებელია;

⁵ ზოგ შემთხვევაში ბანკმა კონკრეტული მსესხებლისათვის შეიძლება დაადგინოს სტანდარტული საგანგებო ავანსის განსხვავებული ოვერდრაფტის მომსახურების ყოველთვიური ადმინისტრაციული საკომისიო - საკომისიოს ზუსტი ოდენობა აისახება ბანკომატის ეკრანზე, რასაც მსესხებელი ეთანხმება ოვერდრაფტის გააქტიურების პროცესში.

⁶ საგანგებო ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს მოცულობა დგინდება ბანკის მიერ ინდივიდუალურად ყოველი მსესხებლისათვის – საკომისიოს ზუსტი ოდენობა აისახება ბანკომატის ეკრანზე, რასაც მსესხებელი ეთანხმება საგანგებო ავანსის გააქტიურების პროცესში.

⁷ საშელავათო პერიოდის განსაზღვრა ხორციელდება ბანკის მიერ ინდივიდუალურად ყოველი მსესხებლისათვის – საშელავათო პერიოდის ზუსტი ვადა აისახება ბანკომატის ეკრანზე, რასაც მსესხებელი ეთანხმება საგანგებო ავანსის გააქტიურების პროცესში.